N 99-49
25/01/2018

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ნიკოლოზ თოფურიძეს
პირველადი სტრუქრურული ერთეულის ხელმაძღვანელი
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის
უფროსის ვლადიმერ გელაშვილის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 დეკემბრის N 42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

1. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის N 136 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს გზების სარეაბილიტაციოდ გამოეყო 5 225 480 (ხუთი მილიონ ორასოცდახუთიათას ოთხასოთხმოცი) ლარი, დან. N 10 -ის შესაბამისად.

2. 2018 წლის პირველი იანვრისათვის არსებული ნაშთიდან წინა წლებში აღებული ვალდებულებების შესასრულებლად მიიმართოს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ხარჯებში 150 855 ლარი,

აქედან:

- **საქ. მთავრობის 2017 წლის N 2609 განკარგულებით 1061 ლარი გზების რეაბილიტაციაზე.**

- **საქ.მთავრობის 2015 წლის N 39 განკარგულებით 59 901 ლარი,**

მ.შ. 39 528 ლარი გზების რეაბილიტაციის; 12 752 ლარი კეთილმოწყობის ობიექტების რეაბილიტაციის (ღია ესტრადა); 2305 კულტურის ობიექტების რეაბილიტაციის (ბიბლიოთეკის შენობა); 4347 ლარი სავადმყოფოს მიმდებარე ქუჩებზე წყლის სისტემის რეაბილიტაციის და 969 ლარი სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციის.

- **საქ. მთავრობის 2016 წლის N 175 განკარგულებით 2557 ლარი გზების რეაბილიტაციისათვის.**
- **საქ. მთავრობის 2014 წლის N 34 განკარგულებით გამოყოფილი ფონდების ნაშთებიდან 35 579** ლარი, მ.შ. გზების რეაბილიტაციაზე 30 1000 ლარი და საბავშვო ბაღების რეაბილიტაციზე 5 479 ლარი;
- **საქ. მთვარობის 2013 წლის N 311 განკარგულებით 600 ლარი გზების სარეაბილიტაციოდ.**
- **სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ნაშთიდან 2015 წლის N 506 განკარგულებით 57 ლარი გზებში.**

სულ სახელმწიფო ფონდების ნაშთიდან 99 755 ლარი

- **საკუთარი საბიუჯეტო სახსრების ნაშთიდან წინა წლებში აღებული ვალდებულებების დასაფარავად მიიმართოს 2018 წლის გადასახდელებში 51 100 ათასი ლარი, აქედან:**

1. **2014 წელში აღებულ ვალდებულებებზე 1766 ლარი, აქედან:**

   გზების რეაბილიტაციაზე -157ლარი; ხიდების რეაბილიტაცია - 366 ლარი; განათლების ობიექტების (საბავშვო ბაღები) მშენებლობა რეაბილიტაციაზე - 1243 ლარი.

2. **2016 წელში აღებულ ვალდებულებზე 49 334 ლარი**, აქედან გზებზე - 44 447 ლარი; განათლების ობიექტების (საბავშვო ბაღები) მშენებლობა რეაბილიტაციაზე - 4887 ლარი

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში 6 889 400 ლარი გაიზარდოს 5 225 480 ლარით და განისაზღვროს 12 114 880 ლარით;

ასევე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გადასახდელების ნაწილში 11 415 597 ლარი გაიზარდოს 5 376 335 ლარით და განისაზღვროს 16 791 932 ლარით;

გადასახდელების ზრდის წყაროდ როგორ ზევით აღინიშნა გამოყენებული იქნას კაპიტალური ტრანსფერი 5 225 480 ლარი და 2018 წლის პირველი იანვრისათვის არსებული სახსრების ნაშთი 150 855 ლარი.

ვლადიმერ გელაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური